წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 22 ივლისი 1915 წ. № 50

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის“ იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

პირველხარისხოვანი
სასადილო
„კაფე ბორდო“
მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენერბური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაუდენ იოსელიანი.**

იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურობის სხვა შენობები, დროებით დაკეტილი

„კაფე პარიზი“

გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,

იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. **თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.**

პატივისცემით **დ. გიგიბერია.**

ირ. ევდოშვილის

სრული კრებული ხელის მოწერით ღირს ორი მანეთი. **მთელი შემოსავალი** მგოსანს გადაეცემა.

„საქართველოს“ რედაქციაში (მოსკოვის ქუჩა № 4) მიიღება ხელის მოწერა.

0—12

ქ. გორში
ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი
იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და **ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

გადაწერას საწერ მანქანის
საშვალებით და საწერ მანქანაზე
მუშაობის სწავლებას
ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს
ი. თ. გვათუას კანტორა
ვერის დაღმართი № 1
ტელეფონი 17—05

ომის დღიური

მიმოხილვა

რა კი ვისლა-ნარევის ბუნებრივად ძლიერ ფრონტის შენარჩუნება არ მოხერხდა, რუსულ პრესაში გაისმა ხმა შესახებ ტაქტიკის შეცვლისა. თუ აქამდე რუსის ჯარი გაშლილ მინდვრებზე იბრძოდა, ამიერიდან მან ნელ-ნელის დახევით და საარიერგარდო ბრძოლებით უნდა დაასუსტოს და დალიოს მოპირდაპირე. ასეთი იყო კუტუზოვის ტაქტიკა 1812 წ. მან შეიტყუა და შეითრია შუა რუსეთში ნაპოლეონი, რომელიც რუსეთის საზღვარს ნახევარ მილიონ ჯარის კაცით მოადგა, მაგრამ ბოროდინოში მხოლოდ 130.000 კაცი ამოიყვანა. უკან მომავალი ჯარი ასეთ ტაქტიკის გამო თანდათან უახლოვდება თავის სახელმწიფოს შუაგულს, ცენტრებს. მას უმოკლდება საკვები გზები და ეძლევა მეტი ზნეობრივი ძალა და ბრძოლის აღფრთოვანება, რადგან სამშობლოს უკვე ნამდვილი ხიფათი და განსაცდელი მოელის. ასეთ შემთხვევაში მოპირდაპირეს გზა უგრძელდება, იგი ილევა და სუსტდება; თანდან ძნელდება საკმაო სამხედრო მასალის მიწოდება და შოვნა სურსათისა, რადგან უკან მომავალი ჯარი განზრახ სწვავს და ანადგურებს ყველაფერს, რის წაღებაც შეუძლებელია და რაც, შეიძლება, მოპირდაპირეს გამოადგეს.

ასეთი ტაკტიკა შეტყუებისა და ჩათრევისა შესაძლებელია მხოლოდ უშველებელ და განუზომელ რუსეთში, მაგრამ საკითხავია ერთი რამ: წამოჰყვება თუ არა რუსის ჯარს გერმანეთის ჯარი? ამ კითხვას გერმანეთის სამხედრო პრესამ კარგა ხანია პასუხი მისცა; არა, არ წავყვებითო, რადგან ასეთი სახიფათო ოპერაცია მარცხითაც რომ არ გათავდეს, ამ ჟამად საამისოდ ჩვენ არ გვცალიან, რადგან დასავლეთისკენ გვეჩქარება, სადაც საბოლოოდ უნდა გადასწყდეს ბედი ამ ომისაო. მაშ რა უნდათ ამ ჟამად გერმანელებს და სად აპირობენ ისინი შეჩერებას? აქამდე ამბობდნენ, მათი მახლობელი მიზანი ვისლის ჩაგდებაო; ეხლა კი, როცა ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდანაც მოუარეს ვისლას, ცხადია რომ ვისლით არ დაკმაყოფილდებიან. თუ მართალია ის აზრი, რომ გერმანელები ჩქარობენ დასავლეთისკენ უნდათ მიბრუნება, მაშინ ისინი უნდა გაჩერდნენ კოვნო-ოსოდნო-ბელოსტოკ-ბრესტის პირზე, რის გამო შესამჩნევად შემოკლდება ბრძოლის პირი. მაშინ შეუძლიან გერმანეთს აღმოსავლეთით თხრილებში ჩასხას ერთი ნაწილი ჯარისა, უმეტესი ნაწილი კი ისევ საფრანგეთს მიუბრუნოს.

18 და 19 ივლისს ნემანისა და დვინის შუა ბრძოლა გართულდა და გამწვავდა. მეტად სასტიკი და გაშმაგებული ბრძოლები ხდება ნარევის ნაპირებზე, სადაც გერმანელები ცდილობენ ოსტროლენკიდან სამხრეთით მომავალ რკინის გზის გადაჭრას.

ივანგოროდის ჩრდილოეთით, ვისლის მარჯვენა ნაპირზე მოპირდაპირის წამოწევას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მას სურს ლიუბლინიდან მომავალ რუსის ჯარს გზები მოუჭრას, მაგრამ რუსის ჯარი აქ მედგარ წინააღმდეგობას უწევს გენ. ვოიერშის ჯარს და ამით საშვალებას აძლევს ლიუბლინიდან მომავალ რუსის ჯარს სამშვიდობოს გამოსვლისას. 19 ივლისს რუსის ჯარმა ხოლმი მიატოვა და ჩრდილოეთით წამოვიდა.

მეტად საინტერესოა, რა ხდება ბუგის მარჯვენა ნაპირზე, კოვლის მიმართულებით, მაგრამ ამის შესახებ დეპეშებში არაფერია ნათქვამი.

მ. ბ—ლი.

დეპეშები

თბილისი, 20 ივლ. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 18 ივლისს ზღვის რაიონში თოფ-ზარბაზნების სროლაა. ოლთისის მიმართულებით, სოფელ ახას რაიონში სროლაა. დანარჩენ ფრონტზე შეტაკება არ მომხდარა.

პეტროგრადი, 20 ივლისი. ოფიციალი. უმაღლეს მთავარსარდლისაგან. ბალტიის ზღვაში ინგლისელთა წყალქვეშამ დაჭღუპა გერმანელთა მოზრდილი ტრანსპორტი. მიტავა-ბაუსკის რაიონში 19 ივლისს მდგომარეობა არ შეცვლილა. პონევეჟეს აღმოსავლეთით 18 ივლისს საღამოს რუსებმა შეავიწროეს გერნანელთა მოწინავე რაზმები. აქ ტყვედ წამოიყვანეს 500 გერმანელი 6 აფიცრითურთ და 6 ტყვიისმფრქვეველი. 19 ივლისს გერმანელებმა მთავარი ძალები გამოსწიეს და იერიშით წამოვიდნენ. ამიტომ იყო, რომ ამ რაიონში ბრძოლამ მეტად მკაცრი ხასიათი მიიღო. ნარევის ფრონტზე 19 ივლისს გერმანელებმა მრავალგზის სასტიკი იერიშების შემდეგ გადაჭლახეს მდ. ნარევის მარჯვენა ნაპირი. პისას შესართავთან როჟანის რაიონში გერმანელებმა დიდძალ ჯარებს მოუყარეს თავი, რომელნიც 19 ივლისს იერიშით გაემართნენ რკინის გზის დასაჭერად ოსტროლენკოს სადგურის სამხრეთით სოფ. კობილინამდე. ბრძოლა აქ უალრესად მკაცრ სახეს ინახავს, გამონელება არ ეტყობა. ვისლას ფრონტზე 19 ივლისს ბლონის ჩრდილო-დასავლეთით და გურო-კალვარიის სამხრეთით რუსების საკეთილდღეოდ მიდიოდა ომი. ვისლაზე მაგნუშევთან გადასული გერმანელები მდინარისკენ იწევენ. მაცევიცეს რაიონში გერმანელები სწრაფი და ენერგიული იერიშებით სცდილობდენ გაეფართოვებინათ თავიანთი პოზიციები, მაგრამ 19 ივლისს ომის ფრონტი არ შეცვლილა. ივანგოროდის რაიონში 19 ივლისს მკაცრი ბრძოლის შემდეგ რუსის ჯარები გადავიდნენ ვისლას მარცხენა ნაპირზე და უფრო ხელსაყრელ პოზიციებზე გამაგრდნენ. ვისლისა და ბუგის შუა სასტიკი ომი გრძელდება ლიუბორტოვის მიმართულებით მარკუბიდან ბისტრიცის ფრონტამდე, აგრეთვე ვეპრუის ორივე ნაპბრებზე ტრავნიკ-ვლოდავას რაიონის გზატკეცილამდე. 19 ივლისს ხსენებულ ასპარეზზე რუსებმა მოიგერიეს გერმანელთა იერიშები. დანარჩენ ფრონტზე შესამჩნევი ბრძოლა არ მომხდარა.

შავ ზღვაზე რუსის ნაღმოსნებმა დასწვეს ქვანახშირის საწყობი და ჩახძირეს 10 იალქნიანი ხომალდი. ანატოლიის ნაპირებთან 200 იალქნიან ნავამდე მოსპეს იმავე ნაღმოსნებმა, ზოგიერთა ხომალდზე სურსათი დაიჭირეს და კონფისკაცია მოახდინეს.

უურნალ-გაზეთებიდან

ბულგარეთი ჯარებს აგროვებს.

შვედურ გაზეთ „Svenéka Dagbl“-ს ათინელი კორესპონდენტი ატყობინებს შემდეგს: საბერძნეთის და სერბიის საზღვრებზე ბულგარეთი აძლიერებს თავის ჯარებს. ბულგარეთის კომიტაჯიები დიდ რაზმებს ადგენენ ცნობილ მაკედონელ ბელადის პროტოგეროვის მეთაურობით.

გერმანია რუმინიას ემუქრება.

გერმანელი გაზეთი „Berliner Tageblati“ მკვახეთ იხსენიებს რუმინიის ფინანსთა მინისტრს კოსტინესკოს; გაზეთი ბრალსა სდებს ბ-ნ კოსტინესკოს რომ ყოველ ღონის ძიებას ხმარობს დაიჭიროს გერმანიისთვის დანიშნული საქონელი. გერმანიაში განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ კოსტინესკომ დაიჭირა 35.000 ვაგონი პურის ფქვილი, რომელიც გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში უნდა შემოსულიყო. „Berliner Tagebat“ ემუქრება რუმინიას, გერმანია ახალ რეპრესიებს მიმართავს, თუ რუმინია არ მოიშლის ასეთ უკმეხ მოპყრობას გერმანიის ინტერესისადმიო.

ბულგარეთ-ოსმალეთის შეთანხმება.

„Vosrlsche Zeitung“ სოფიელი კორესპონდენტი იუწყება: ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ რადოსლავოვმა თათფირი იქონია გერმანიის სტამბოლელ ელჩთან, ბარონ ვანგენჰაიმთან. თათფირის შემდეგ მოიწვია მინისტრთა საბჭოს სხდომა. ამ სხდომაზედ გამოიტანეს ფრიად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, რომელნიც საბოლოოდ არკვევენ ბულგარეთის პოზიციას. კორესპონდენტის გადმოცემით, ბოლგარეთ-ოსმალეთის შეთანხმება გათავებული საქმეა. ოსმალეთისაგან ბულგარეთი მიიღებს განსაზღრულ ტერიტორიას, ადრიანოპოლი არ შედის ამ დაპირებულ ტერიტორიის ფარგლებშიო.

(ბ. ვ.)

„რუსკ. სლოვოს“ ლონდონიდან ატყობინებენ: „მორნინგ პოსტ“ ინგლისის სტრატეგიას ავრცელებს და სწერს: თუ მტერი ერთ მოკავშირეს შეუტევს მაშინ მეორე მოკავშირემ უნდა შეუტიოს მას; ჩვენ კი როდესაც გერმანელები რუსებს უტევენ, დასავლეთის ფრონტზე არაფერი გვესმის; ინგლისის ჯარი უმოქმედობაშია.

„რუსკ. ვედ.“ პეტროგრადიდან ატყობინებენ, რომ სამხედრო ავტორიტეტთა აზრით, უმჯობესია გადამწყვეტ ბრძოლის გადადება იმ დრომდე, ვიდრე მრეწველობის მობილიზაციის მოხდენით გამარჯვება უზრუნველყოფილი არ იქნება. ამ მოსაზრებით ჩვენთვის ხელსაყრელია ფრონტის შემოკლება, თუგინდ რომ ამან ვისლის ხაზის და ზოგიერთ ღირს-შესანიშნავ პუნკტების დატოვებაც მოითხოვს. საზოგადოების მოვალეობაა მშვიდობიანობა და სიწყნარე დაიცვას და მით ჯარს გაუადვილოს თავის დანიშნულების შესრულება.

მეგობრულად ინაწილებენ.

გერმანიასა და ავსტრიის შორის სადამოუნო შეთანხმება მოხდა. ამ შეთანხმების ძალით მთელი დაპყრობილი პოლონეთი ერთ საზიარო სადამოუნო ოლქს წარმოადგენს. შუაზე ჰყოფენ სადამოუნო შემოსავალს, რომელსაც წინასწარ გამოეკლება ოცდა ათი პროცენტი სადამოუნო ხარჯების დასაფარავად. შინაურ ასაკრეფ გადასახადს-კი ცალ-ცალკე აგროვებს თითეული მათგანი.

ჰოლანდია ჯარს ამრავლებს.

ჰოლანდიის პარლამენტმა მიიღო კანონპროეკტი, რომლის ძალით ლანდშტურმის რიცხვი უნდა ავიდეს შვიდას ათასამდე.

ჰაეროპლანებმა მოუხშირეს.

გერმანელმა ავიატორებმა ვარშავაზე ფრენას მოუხშირეს. 18 საათის განმავლობაში ქალაქს სამჯერ ესტუმრენ. გერმანელები მაღლიდან ჰყრიდნენ ცეცხლის წამკიდებელ ყუმბარებს, მაგრამ ცეცხლმა ქალაქში ფეხი ვერ მოიკიდა. საცა ცეცხლი ჩნდებოდა, უმალვე აქრობდენ. 14 ივლისს დილით 10 საათზედ 10 ყუმბარა ჩამოყარეს. ამავე დღეს საგამოს 3 ყუმბარა. მეორე დღეს გათენებისას, 4 საათზე ზედი-ზედ ოთხი ყუმბარა ბასკდა. მსხვერპლი არ ყოფილა.

ცეპელინი მალკინის სადგურზე.

მალკინის სადგურზე საღამო ჟამს ცეპელინი გამოჩნდა. გადმოყარა 30 ყუმბარა. აფეთქებას ზარალი არ მიუცია სადგურისთვის.

გერმანელების ახალი სისტემის თოფები

გერმანელ ჯართა გაძლიერება რუსეთის დასავლეთ ფრონტზე ჯერაც არ შეწყვეტილა. ჯარები მოჰყავთ შიდა გერმანეიიდან. მოჰყავთ ულევი ლაშქარი და თან მოაქვთ აუარებელი ტყვია-წამალი, ყოველგვარი სამხედრო მასალა,

საფუძველია ვიფიქროთ, რომ თანამედროვე თოფის ნაცვლად ხმარებაში შემოიღებენ ახალს ავტომატიურ სისტემისას. ამ ავტომატიურ თოფებს 80 პატრონა აქვს ერთადაო. ეს გარემოება საშუალებას მისცემს მათ მოკლეხანში უფრო მეტი ძალლონე მოიცვან, მოგერების გზას აქ დაადგნენ და შემდეგ აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გადაიყვანონ ლაშქარიო.

გერმანიის დიპლომატია ბალკანეთში.

„ტაგეს ციაიტუნგ“-ში გრაფი რევენტლოვი იწონებს ვოლფის გეგმას, რომელიც ცდილობს ბულგარიასთან შეთანხმებას. ავსტრია-გერმანიის დიპლომატია რაც შეიძლება მალე უნდა მოეშველოს ბულგარიას მაკედონიაში შესვლაში და მით აიძულოს რუმინია და საბერძნეთი გამოარკვიონ თავიანთი დამოკიდებულება ომთან. ბულგარიასთან შეთანხმებით, განაგრძობს რევენტლოვი—ჩვენ გადავწყვეტთ ბალკანეთის საკითხსო.

ჩვენს ჯარს დღეს ყველაზედ ძნელი და ყველაზედ უმადური მოვალეობა, დაატყდა თავს, მოვალეობა, რომელიც კი როდისმე ჰხვედრია რომელიმე ჯარს, —იგი იძულებულია უკან იწიოს განუწყვეტელ ბრძოლის მიუღებლად, უნდა აჩეროს მტრის წინსვლა, რაც შეიძლება მეტი ზიანი მიაყენოს და ამავე დროს შესძლოს თვისი ცოცხალი ძალის შენარჩუნება. ამ გვარ გზას უნდა ვადგეთ ჩვენ, სანამ ჩვენ მიერ დამზადებული ტყვია-

წამალი არ აღეჭარბება ბრძოლის ველზედ გასროლილს. „კ. ს.“

გერმანია და შეერთებული შტატები

პან-გერმანელმა პრესამ დიდი განგაში ასტეხა გერმანიაში შეერთებულ შტატების წინააღმდეგ და კანცლერისაგან მოითხოვენ ყურადღება არ მიაქციოს ვილსონს და პასუხიც არ გასცეს მას. გაზეთი „ჰამბურგერ ფრემდენბლატ“-ი ჰგმობს ვილსონს, უწოდებს მას ინგლისელებისაგან მოსყიდულს და ამტკიცებს, რომ ინგლისი და შეერთებულ შტატებს შუა საიდუმლო ხელშეკრულებაა დადებული გერმანიის წინააღმდეგაო.

ბოლგარია და ოსმალეთი.

როგორც ლონდონის გაზეთები იტყობინებიან, ბოლგარეთ-ოსმალეთის ხელშეკრულებას არა სასიამოვნო შთაბეჭდილება მოუხდენია. უფრო აფიქრიანებთ მათ ის გარემოება, რომ დღევანდლამდის არ იციან, რა მოვალეობა იდვა თავს ბოლგარეთმა იმის შემდეგ, რაც ოსმალეთიდან საკმაო ტერიტორია მიიღო. უკანასკნელ დღეებში ქ. სოვიაში სასტიკი ბრძოლა ყოფილა მოპირდაპირე სახელმწიფოთა დიპლომატების შორის. ავსტრო-გერმანელებმა არაფერი დაიშურეს თურმე, რომ საქმე მათვის ხელსაყრელად დაგვირგვინებულიყო. წინადვე ყველამ კარგად იცოდა, რომ რაწამს ბულგარეთი მინდვრის მოსავალს მოჰკრეფდა, მაშინვე თავის პოზიციას შესცვლიდა და აქტიურ გზას დაადგება. ასეც მოხდა. ბოლგარიამ უკვე შემოსავალი დააბინავა და წამსვე შეუდგა მოლაპარაკების გზას უპირველესად რუსეთის მტრებთან. ცხადია ბალკანეთში კრიზისი უკვე მომწიფდა და ჩვენც ყოველ დღე უნდა მოველოდეთ ამა თუ იმ სახელმწიფოს მსოფლიო ომში ჩარევას. „რ. ს.“.

———

შემდეგ „ფრემდენბლატ“-ი გადაჭრით მოითხოვს უპასუხოდ დასტოვონ ვილსონის ნოტა და უმატებს „ამით კანცლერი დიპლომატიის არამკითხე დილეტონტს გააგებინებს გერმანიის ზიზღს. ამავე საკითხს ეხება გრაფი რევენტლოვი“ ტაგესცაიტუნგ“-ში და სწერს „ვილსონს პასუხი უკვე გავეცით იმათ, რომ წყალქვეშა ფლოტს ნაბრძანები აქვს უფრო ენერგიულად გაავითარონ მოქმედება-“ო.

სახელმწიფო სათათბირო

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

(გაგრძელება)

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ბ-ნ სამხედრო სამინისტროს გამგეს.

ტრიბუნაზე ასვლისთანავე ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან სახელმწიფო სათათბიროს წევრნი გენერალ პოლივანოვს.

„ბ-ნნო, სახელმწიფო სათათბიროს წევრნო! სწორედ ამ 100 წლის წინად რუსეთის სახელმწიფოს დიადის მსხვერპლით და რუსის სისხლით დაიწყეს არსებობა გერმანეთის სახელმწიფოებმა, რომელნიც მაშინ განათავისუფლა რუსეთმა ძლიერის ნაპოლეონის ბატონობისაგან; დღეს კი მეორე წელი დაიწყო რაც ეს სახელმწიფოები თავს დაგვესხნენ და შეგვიწყვიტეს მშვიდობიანი განვითარება ჩვენი სამშობლოსი. ჩვენი მტერია გერმანეთი, რომელმაც აღაფრთოვანა ჩვენს წინააღმდეგ ავსტრია-უნგრეთი და ოსმალეთი. იგია ძლიერი მტერი. 43 წლის სისტემატიური მზადება ჩვენდამი საწინააღმდეგო ომისათვის, მზადება, რომელშიაც არა მხოლოდ სამხედრო ორგანიზაცია იღებდა მონაწილეობას, არამედ ყველა უწყებანი და მთელი ქვეყანა თავისი სულიერ, სამეცნიერო და სამრეწველო წარმომადგენელებით, ეს მზადება მეტად საფუძვლიანი გამოდგა. ამ მზადების თავისებურობა იმაში გამოიხატება, რომ, ჯარის და ფლოტის ძლიერების განხორციელებისა და განუსაზღვრელ ტეხნიკურ საშუალებით გამდიდრების გარდა, გერმანეთმა დაძველებულად და უსაჭიროდ აღიარა ყველა ის წესები და ჩვეულებანი, რომელნიც დღევანდლამდის განათლებულ ერთა პატიოსნებას და ზნეობის კოდექს შეადგენდა (ისმის „ვაშა“ და ტაში). ამ 12 თვის ბრძოლის შედეგი ხან ჩვენს სასარგებლოდ იხრებოდა, ხან კი იმათთვის, დასაწყისში—უფრო ჩვენს მხარეზედ იყო გამარჯვება, ეხლა კი—უფრო გერმანეთის მხარეზეა. ამ წუთებში მოწინააღმდეგემ განსაკუთრებით დიდი ძალები გამოგზავნა ჩვენს წინაღმდეგ, რომელიც თანდათან რკალსავით ერტყმება გეოგრაფიულად წინ წაწეულ ვარშავის სამხედრო ტერიტორიას. ჩვენი დასავლეთის საზღვრის მოხაზულობა ღრმად არის შეჭრილი გერმანეთის და ავსტრია-უნგრეთის მხარეებში და ამავე დროს კი არავითარი ძნელი გასავლელი ბუნებრივი ზღუდე არ მოგვეპოვება იქ, —ამ გვარი მოხაზულობა ყოველთვის ჩვენ სტრატეგიულ მდგომარეობის სისუსტეს წარმოადგენდა და უპირატესობას ანიჭებდა ჩვენს დასავლეთ მეზობლებს. ჩვენ შეიძლება მოგვიხთეს შევამოკლოთ ვარშავის ოლქში რკალისებრ მოღუნული ფრონტი, შეიძლება მოპირდაპირეს დავუთმოთ კიდეც ტერიტორიის ერთი ნაწილი დ დავიწიოთ წინდაწინ განმზადებულ პოზიციებისკენ. სადაც რუსის ჯარს შეეძლება შეივსოს ყოველი ნაკლი და შეაქუჩოს საჭირო ძალა და საშუალება შეტევაზე გადასასვლელად. ჩვენი სულიერი განწყობილება ექვემდებარება ბრძოლის მსვლელობას. ვხარობთ გამარჯვების დღეს, სერიოზული ვართ დიდ განცდის ჟამს. მხოლოდ ერთ რამეში, ბ-ნნო სახელმწ. სათათ. წევრნო, ჩვენი სულიერი განწყობილება უნდა უცვლელი დარჩეს, რომ ბოლომდე, გამარჯვებამდე მოვიყვანოთ ატეხილი ომი. (ხმები: „სწორედ“, „სწორედ“, ტაშის კვრა). საქმეს აგვირგვინებს მხოლოდ ბოლო. ამის შეურყეველი დამამტკიცებელია 1812 წელი. ეხლა შეიძლება ვისლაც დავუთმოთ როგორც მაშინ მოსკოვი დავუთმეთ, რის შემდეგაც მტერი დამარცხდა და იძულებული იყო რუსეთი დაეტოვებინა. კიდევ ერთი რამ: ვიქონიოთ ღრმა რწმენა ჩვენი დიდებული ჯარისა და ჩვენი მოკავშირეთა ჯარისადმი. (ხანგრძლივი ტაშისკვრა, ხმები „ვაშა“). თითქმის სამ თვეს გასტანა ბრძოლამ გალიციაში და ვისლის ორსავე ნაპირებზე, გერმანიის მრეწველობამ ჩვენს წინააღმდეგ მომართა დიდ-ძალი არტილერია, თვით უდიდეს ყალიბიან ზარბაზნებამდე, რომლის მზგავსი არასოდეს არ ყოფილა ბრძოლის ველზე. დაუშრეტელია მტრის სამხედრო სურსათი. არ ენანება მრავალი ათასი ყუმბარა დაახალოს ზოგჯერ ერთ მტკაველ მიწას, რომელსაც ჯოჯოხეთურად ულარავს ზედა პირს. მტერს აქვს აგრედვე აუარებელი ტყვიისმფრქვეველი, აუარებელი თოფი დაპატრონა.

(სიტყვა ეძლევა გარეშე საქმეთა მინისტრს. საზონოვის ტრიბუნაზე გამოსვლისთანავე ტაშისკვრა ასტყდება დარბაზში). „ბატონო სახელმწიფო სათათბიროს წევრნო! საბედისწერო ომის წლის თავზე, როდესაც, მიუხედავად ჩვენი ყოველგვარი ცდისა, რომ მშვიდობიანობა დაგვეცვა, გერმანიამ ომი გამოგვიცხადა და მთელს ევროპაში და მის საზღვრების იქით დაანთო უშველებელი ცეცხლი; საჭიროდ მიმაჩნია თვალი გადავავლოთ წარსულს და განვიხილოთ ჩვენ მიერ განცდილი წამები. (შემდეგ მინისტრი ასურათებს ომის მიზეზებს და დაასკვნის, რომ ომი ჩვენ კი არა, პირველად გერმანიამ გამოიწვია და მანვე გამოგვიცხადაო). უკანასკნელ ჩემს მომართვამდის ბევრი რამ შეიცვალა საერთაშორისო დამოკიდებულებათა სფეროში. რუსეთი ძველებურად მტკიცედ იცავს სახელოვან მოკავშირეთა მეგობრობას და საერთო ძალით საქმე ისეა მოწყობილი, რომ საბოლოოდ მაინც ჩვენ დაგვრჩება გამარჯვება (ხმები „ვაშა“). მოკავშირეთ, როგორც იცით, ახალი მეგობარი შეეძინა იტალიის სახით (ხანგრძლივი ტაშის ცემა, წევრები დგებიან და სალამს აძლევენ იტალიის ელჩებს). იტალიელები დიდი ხანია აღფრთოვანებით მიისწრაფებოდნენ თავიანთ მოძმეთა გასანთავისუფლებლად. ტრიესტისა და ტრიენტის სახელები ომის საყვირად ჰქონდა ყველას. სალანდრას კაბინეთი დაბეჯითებით ემზადებოდა საომრად გამოსვლას და აი, როდესაც დაჰბერა დრომ, იგი მხარში ამოუდგა რუსეთს, საფრანგეთს, ინგლისს რათა იტალიელთა იდეალი განგორციელებულ იქმნეს. ბედნიერება მაქვს თქვენთან ერთად მეც გულწრფელი სალამი ვუძღვნა მოკავშირე იტალიას! (ტაში). იტალიის მაგალითისთვის რო მიებაძნათ სხვებსაც, თქმა არ უნდა, ეს დააჩქარებდა ომის გათავებას და ხანგრძლივ სისხლის ღვრას, რათა მებრძოლნი დაჰბრუნებოდეს მყუდრო ცხოვრებას და მშვიდობიანად განეგრძოთ მუშაობა. მაგრამ შესაფერ გარდაწყვეტილების მისაღები საათი ჯერ არ წასულა და შესაძლებელია კიდევ რაიმეს მოგვარება. ამ ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობდნენ შვეიცარიაზე. მათ სახელმწიფო მოღვაწეთა სიტყვებიდან სულ სხვა და სხვა დასკვნა გამოჰყავდათ. მაგრამ ჩვენი და მათი მეგობრული განწყობილება იმდენად მტკიცეა, რომ მეტად მიმაჩნია რაიმე ეჭვის შეტანა ანუ ბურუსის მიმოფანტვა (ხმები: „მართალია, მართალია!“)

შემდეგ მინისტრი ეხება შვედელთა საზღვაო ვაჭრობას, მათ მიერ ნეიტრალობის გარდაწყვეტას, რომ მათშიაც ზიზღი გამოიწვია გერმანელთა მიერ მიღებულ მკაცრმა საშვალებებმაო. მოშხამული გაზების ხმარება, ანუ „ლუზიტანიის“ დალუპვა ყველას ერთგვარად აშფოთებსო. ასევე ეხება გალიპოლის ნახევარ კუნძულზე მოკავშირეთა მამაცურ ბრძოლას, რასაც ყველანი ტაშის კვრით მიეგებნენ.

აღარებელ ბსხვერპლის გაწირვით ნელნელ მოკავშირენი არღვევენ გარდაუვალ ზღუდეს და გვიახლოვდებიან. მრისხანე გრგვინვის მოლოდინს ჰგრძნობენ ოსმალები და ამიტომ არის, რომ ასე მკაცრად, გაჯიქებული სიმამაცით ეკვეთნენ მათ და შიგნით კიდევ არ ასვენებენ ქრისტიან მცხოვრებლებს. სომხის რაზმელები მამაცად იბრძვიან ჩვენთან ერთად მათს წინააღმდეგ (ხმები „ვაშა, ვაშა“, ტაში), ასე მაგალითად, ვანში ერთ თვეზე მეტად გაუმკლავდნენ ოსმალთ, ვიდრე ჩვენ არ მივედით და არ დავიხსენით. ქრისტიან ბერძენთა ქალთა და ბავშვების ჟლეტა არ შეიძლება აღშფოთებას არ იწვევდეს ერლინთა შორის და მათს მთავრობაში. საბერძნეთს წინ მეტად საბედისწერო კითხვა აქვს გადასაჭრელი, შესძლებს თუ არა მცირეაზიაში თავის თანამოძმეებს რაიმე დახმარება გაუწიოს, მიეხმრობა თუ არა მოკავშირეებს, რომელნიც თავისუფლებისა და უფლებისათვის იღებენ მახვილს! ეჭვი არა მაქვს, რომ ჯერ ნეიტრალობის ფარგლებიდან გამოუსვლელი ერები ჯერ ხმას არ ამოიღებენ და თუ ამოიღებენ, თქმა არ უნდა, იქით გასწევენ, საითაც მათი ინტერესები გაიმარჯვებენ.

ამ შემთხვევაში უნდა აღვნიშნო ის ძალდატანება, რასაც გერმანელები და ავსტრო-ჰუნგრელები ატანენ რუმინიას. მიუხედავად მათი პირობებისა რუნინიის მთავრობა ტატიცედ სდგას და ჩვენც მეგობრულ განწყობილებას არა ვწყვეტთ მათთან. სრულიად არ მინდა ზედმეტად აღვნიშნო სერბიის დიადი თავგანწირულება ამ ომში... ჩვენმა მტრებმა ბრძოლის ველზე ფართოდ დაიწყეს ფარული აგიტაცია, რა არის მოკავშირეთა წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრი აემხედრებინათ. ასე, მაგალითად, სპარსეთში რო აჯანყება გამოეწვიათ, ისინი აბნევენ ფულს, აჯანყებენ პატარ-პატარა ჯგუფებს. დაასარეშებენ.

შემდეგ მინისტრი დაწვრილებით განიხილავს სპარსეთის მდგომარეობას, შემდეგ იაპონიისას, თუ მან რა დახმარება გაუწია ბრძოლის დროს და განაცხადა: ახლა კი ეჭვი არავისა აქვს, რომ ჩვენი და იაპონელების მეგობრული განწყობილება მუდმივ დარჩებაო. გაიხსენა ჩინეთის მდგომარეობაც და იმედი გამოსთქვა, რომ არც ჩვენს შორის დაირღვევა მეგობრული განწყობილებაო. ბოლოს მინისტრი განაგრძობს:

ბატონებო, ბოლოს არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ შეიძლება ერთის წლის ომის შემდეგ ამდენი ცდის შედეგები შეუფერებელია, მაგრამ არ უნდა დავიწყოთ, რომ გამარჯვების თავდები შეუპოვრობა-სიმტკიცეშია, შემიძლია დარწმუნებით განვაცხადო, რომ მთავრობა საზოგადო აზრთან ერთად ვერც კი დაუშვებს აზრს ზავის ჩამოგდების შესახებ ვიდრე მტერი არ დამარცხდება. (საერთო ტაში და „ვაშას“ ძახილი). ჩვენი ერთგულნი მოკავშირენიც ამავე სურვილით არიან აღფურვილნი (ტაში). ბოლოს არსებობს ისეთი მოთხოვნილება, რომელიც ჩვენი სურვილებისაგან არ არის დამოკიდებული, არამედ სტიქიურად წარმოიშვების სხვა და სხვა ისტორიულ მომენტთა მიხედვით. ჩვენ არ შეგვიძლია ანგარიში არ გაუწიოთ ამ მოვლენას. დღევანდელმა ომმა ისეთი საკითხები წამოაყენა, რომლებიც 1914 წელს მხოლოდ ოცნებად გვეჩვენებოდა. ეს საკითხები თქვენთვის დღეს მეტად მარტივია და ზედმეტად მიმაჩნია მაზე შეჩერება. ამ საკითხების განსახორციელებლად რუსეთი მოითხოვს ჩვენგან ზედმეტ ძალას და ენერგიას. და ჩვენც უფლება არა გვაქვს უარი ვუთხრათ. ამისთვის რა საშინელიც არ უნდა იყოს დროებითი ჩვენი წამება, ჩვენ შეუპოვარად უნდა ვიყოთ გაჟღენთილი იმ აზრით რომ ვიბრძოლებთ მტრის დამარცხებამდე (ხანგრძლივი ტაში).

ჩხეიძე უთითებს იმ გარემოებაზედ, რომ იუსტიციის მინისტრისაგან შემოსული საკითხი სახელმწიფო სათათბიროს 5 ს.-დ. წევრის შესახებ, არ არის დღევანდელ განსახილველ საკითხებში შეტანილი, მაშინ როდესაც პირველი სიტყვა სწორედ მათი სახელმწიფო სათათბიროში დაბრუნების შესახებ უნდა ითქვას.

თავმჯდომარე უპასუხებს, რომ საკითხების რიგის შედგენის დროს თვით ბ-ნი ჩხეიძეც იღებდა მონაწილეობას და ეხლა გასაკვირველია ჩხეიძის განცხადებაო.

შემდეგ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის წინადადებით მისალოცავ დეპეშას უგზავნის მთავარსარდალს და მის სახელობაზედვე მთელს ჯარს. ეს წინადადება ტაშის ცემით მიიღეს.

სამადლობელს დეპეშას უგზავნიან აგრეთვე მუშებს, რომელთაც საზღვაო მინისტრის სიტყვით, დიდი ღვაწლი მიუძღვით სახელმწიფოს დაცვის საქმეში (ხანგრძლივი ტაში).

მარკოვ 2-ის სიტყვით დრო არ არის მთავრობასთან ანგარიშის გასწორებისა, დრო არ არის საპასუხისმგებლო სამინისტროს მოთხოვნისა. სინამდვილე გვეუბნება, რომ რესპუბლიკური საფრანგეთი, პარლამენტური ინგლისი, კონსტიტუციური ბელგია და თვითმპყრობელი რუსეთი ყველა ერთგვარად მოუმზადებელი აღმოჩნდა ომის დაწყებისას, გერმანეთი კი, სადაც არ არსებობს საპასუხისმგებლო მთავრობა, ძალიან მომზადებული აღმოჩნდა. მაშასადამე, არსებითი კავშირი არ არსებობს ამა თუ იმ წესწყობილებასა და ომის შორის. ჩვენ ნამდვილი გზები უნდა ვეძიოთ და არ ვიტყუოთ თავი პოლიტიკურ მისტიფიკაციებით. გერმანეთში ყველა მილიტარისტები არიან, ს.-დ.-ებიც კი. გერმანეთის სამხედრო ძალის დაფასებაში მოსტყუვდა მთელი ევროპა არამც თუ ჩვენ. ზნეობრივ პასუხისმგებლობას ვერც საათბიროს ის ჯგუფი აიცდენს, რომელიც წინააღმდეგი იყო ომისთვის ხარჯების გაღების დამტკიცებისა, მოითხოვდა ჯარში გასაწვევ ახალგაზდობის რიცხვის შემცირებას, ჰქადაგებდა მშვიდობიანობას და სხვა. დროა თავი დავანებოთ საერთაშორისო უფლებებზედ ლაპარაკს და ვაღიაროთ, რომ ძალის უფლების გარდა არავითარი უფლება არ არსებობს. მრეწველთა სხდომამ ხმამაღლა აღიარა, რომ საჭიროა მთლად მთელი მრეწველობის მობილიზაცია. და აჰა უკვე ორი თვეა, რაც მხოლოდ ლაპარაკია. მრეწველობის დახმარება სამხედრო სურსათის დახმარებისათვის შეიძლება მხოლოდ მთავრობის მეოხებით. მემარჯვენენი საჭიროდ სთვლიან მთავრობის მიერ ისეთ ორგანიზაციის მოწყობას, რომელიც სანოვაგეს და სამხედრო სურსათს დაამზადებდნენ. აგრეთვე მთავრობამ უნდა ყურადღება მიაქციოს პირველ საჭიროების სანოვაგის ხელოვნურად ფასის აწევას; უნდა მოწყობილ იქნეს ორგანიზაცია ბრძოლის ველიდგან გახიზნულთა დასახმარებლად. ებრაელთა გადასახლება, რომელმაც ეხლა ფართო ხასიათი მიიღო ბრძოლის ველზედ უნდა ისე იქნეს მოწყობილი რომ, იქ სადაც გადაასახლებენ, იქაც განმარტოებულნი იყვნენ, რათა იქ შეძლება არ ჰქონდესო ჩაიტანონ ისეთი რამე, რის გულისათვისაც, ბრძოლის ველიდგან იქმნენ გადასახლებულნი. საჭიროა დაჩქარდეს ხვედრი ფულის მიცემა სათადარაგო ჯარის კაცთა ოჯახებისათვის. საჭიროა სისტემატიური ბრძოლა სამხედრო შპიონაჟთან, საჭიროა მკაცრი საშუალებანი იმ გერმანელებისადმი, რომელნიც ორმაგ ქვეშევრდომობას ეწევიან, რათა ზიანი არ მოუტანონ რუსეთს, სხვა და სხვა მის დარგებში. საჭიროა ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ რუსული ფულის ფასი არ დაეცეს საზღვარ გარეთ, მოისპოს მისი რუსეთიდგან საზღვარ გარეთ გატანა და შემოღებულ იქნეს პირდაპირი გადასახადი. სათათბირომ უნდა მისცეს თავისი მართალი, მიუდგომელი ხმა იმას, რომ დაარსდეს მთავრობის კონტროლი, რომელიც კონტროლს გაუწევს როგორც მთავრობის ისე საზოგადო დაწესებულებას, რომელნიც სამხედრო სურსათს და სანოვაგეს ამზადებენ, და მაშინ ადრე თუ გვიან რუსეთი სძლევს გერმანიას. (ტაში მარჯვნივ და ცენტრში).

(დასასრული იქნება)

———

მეშრომელთა ჯგუფი.

ჯგუფს სხდომა ჰქონდა. გადასწყვიტეს შეიმუშაონ მთელი რიგი კანონ-პროექტისა, რომელიც შეეხება ბეჭდვით სიტყვას, კავშირების მოწყობასა და კრებების გამართვის უფლებას. დაადგინეს შეიტანონ კანონ პროექტი, რომ დაწესებულ იქმნას საპროფესიო ორგანიზაციათა. საკრებულოს საბჭო, და ამგვარივე საბჭო კოოპერატივების ორგანიზაციათა სხდომაზედ აუცილებელ საჭიროებად იქმნა აღძრული განაპირა ქვეყნებში ერობის შემოღება და საერობო და საქალაქო დებულებათა გადასინჯვა. ფრაქცია შეიმუშავებს კანონ-პროექტს, თუ როგორ უნდა მიეშველონ ომისგან დაზარალებულ რაიონებს. ფრაქცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ კანონ-პროექტს, რომელიც შეეხება დანარჩენებთან გლეხთა სრულს გათანასწორებას სამოქალაქო უფლების მხრივ.

კადეტთა შორის.

მოსკოვში მოხდა კადეტების ცენტრალი კომიტეტის სხდომა, სადაც განიხილავენ საკითხს პარტიის ლიდერების გამოსვლის შესახებ სახელ. სათათბიროს პირველსავე სხდომაზე. კომიტეტი სახელმძღვანელო დირეკტივებს მისცემს დეპუტატებს.

ფრაქციის სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს კანონ-პროექტს, რომელიც შეეხება მორატორიუმს და საქალაქო დებულებას პოლონეთში.

პროგრესისტთა შორის.

პროგრესისტებს წინადადება შეაქვთ, რომ მთავრობის განცხადების საპასუხოთ ყოველ ფრაქციიდან მხოლოდ ერთი ორატორი გავიდეს.

———

ფრაქციამ დაადგინა, წინადადება შეიტანონ, რომ სახელმწიფო სათათბიროს კომისიები განახლდეს წევრთა შემადგენლობის მხრივ.

ოქტომბრისტები.

ფრაქციას სხდომა ჰქონდა. შეადგინეს სამოქმედო პროგრამა მომავალ საკანონმდებლო სესიისათვის.

ფრაქცია მალე განიხილავს კანონ-პროექტს შემოსავლის კვალობაზე გადასახადების დაწესების შესახებ.

სახელმწიფო საბჭო

პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან

პეტროგრადი, 19 ივლ. სახელმწიფო საბჭო. სხდომის დაწყებამდე საერთო სხდომის დარბაზში გადიხადეს პარაკლისი და დღეგრძელობა უსურვეს ხელმწიფე იმპერატორს, მთავარსარდალს და მეფის გვარეულობას; უსურვეს აგრეთვე საუკუნო ხსენება ბრძოლის ველზედ დახოცილთ.

სხდომის გახსნისთანავე საბჭოს თავმჯდომარე სტატს-სეკრეტარმა კულომზინმა ჯერ ხელმწიფე იმპერატორს, უძღვნა „ვაშა“, რომელიც იქ მყოფთ სამჯერ განიმეორეს, და შემდეგ სთქვა: ჩვენ საყვარელ ხელმწიფის ბრძანებით კვლავ შეყრილნი, მის ფეხრთა ქვეშ განვაგრძობთ ჩვენს მისდამი უსაზღვრო ერთგულების გრძნობას. ამავე დროს ჩვენი აზროვნება მიჰქრის ბრძოლის ველისაკენ. რომელზედაც თბილი სისხლი დის ჩვენი ძმებისა.

... განუწყვეტელს ბრძოლაში განვლო ერთმა წელიწადმა უსაშინელეს ომისამ და ჩვენ სიამაყით შეგვიძლიან უკან მივიხედოთ: ამ დროის განმავლობაში უფრო განმტკიცდა ძალა და მხნეობა რუსეთის გმირთა, რომელთაც თავიანთი ხმალი ბრძოლებში გამოწრთნეს. რუსეთის არც ერთს კუთხეში არ მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომლის გულშიც არ შჩქეფდეს ისეთი სისხლი, რომელიც მზად არ იყოს უკანასკნელ წვეთამდე დაინთხეს სარწმუნოებისა, მეფისა და მამულისათვის.

მინისტრთა თავმჯდომარე მეფის მინდობილობით ულოცავს საბჭოს საქმის დაწყებას. კვლავ გაისმის „ვაშა“ და ასრულებენ ეროვნულ ჰიმნს.

გრძელი, ძნელი, უეჭველი

საფრანგეთის მთავარსარდალმა სთქვა: ომი გერმანიასთან იქნება გრძელი, ძნელი და უეჭველიო.

ინგლისის სამხედრო მინისტრმა განაცხადა: მე არ ვიცი ომი როდის გათავდება, მაგრამ ის კი ვიცი, რომ იგი ეხლა იწყობაო.

რუსეთის სამხედრო მინისტრმა პოლივანოვმა ბრძანა: ჩვენ განვაგრძობთ ომს, როდემდისაც კი უნდა გაგრძელდეს იგიო.

გერმანიის კანცლერმა ომის დაწყებიდანვე დაიკვეხა: გერმანია სამშობლოს დასაცავად შეაიარაღებს კატებსა და ძაღლებსაცო...

ომი იქნება გრძელი, ძნელი და უეჭველი, ერთხმად გაისმის ყველა ბანაკიდან.

და ამისდა მიხედვით ყველაფერი ომისთვის იწირება:

კაცი, ქალი, ბავშვი და მოხუცი.

ქვეყნიერება ალში და ბოლში გაეხვია.

ბევრნი ამ კვამლში აღარ სჩანან:

ბელგია, პოლონეთი, სომხეთი...

ან მკრთალად მოსჩანან:

სერბია, შავმთიელი, ლიტვა.

ასე ჰხდება ხოლმე მიწის ძვრის დროს, კატაკლიზმების ხანებში.

როცა დედამიწის ზურგიდან იღგვება ყოველ ცხოველთა ცხოვრება.

მაგრამ მიწის ძვრა განიზომება წუთებით.

დღევანდელი ხალხთა ძვრა კი წლობით.

ომი იქნება გრძელი, ძნელი და უეჭველი.

ბედნიერია ის, ვინც გაუძლებს ამ საშინელ ხანას.

ბედნიერია ის ერი, რომელიც მის უშველებელ სიკვდილთა ტალღებს გადურჩება

და თუ გადურჩება—

მისი ცხოვრებაც მომავალში უზრუნველყოფილი იქნება:

ცხოვრება გრძელი, მსუბუქი და უეჭველი.

დ. კახელი.

ახალი ამბავი

შუამდგომლობა. ბ-ნმა თბილისის გუბერნატორმა შუამდგომლობა აღძრა მეფის მოადგილის წინაშე, რომ სრულიად აკრძალულ იქმნას ყურძნის ღვინით ვაჭრობა ყველგან. ღვინო მხოლოდ შეიძლება მიეცესთ იმ ადგილებს, რომელთაც ნება აქვსთ ღვინის გაყიდვისა წარსულ წლის 21 აგვისტოს სავალდებულო დადგენილების ძალით, აგრეთვე მიეცემათ აფთიაქებს, საავადმყოფოებს, ლაზარეთებს სამკურდალო მიზნით. მაგრამ ყველა ამ უკანასკნელ დაწესებულებათ, უთუოდ პოლიციის ხელმოწერილი ნებართვა უნდა ჰქონდეთ და აგრეთვე ღვინის წაღების დროს პოლიციის მოხელე უნდა დაესწროს. ასეთი შუამდგომლობა ბ-ნი გუბერნატორისა, იმას გამოუწვევია, რომ რაც ღვინის გაყიდვის ნებართვა გამოვიდა, მას მერმედ საზოგადოდ ბოროტმოქმედება და უწესოება გახშირდაო.

შემწეობა. ბათომის საქალაქო საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების გამგეობამ, საზოგადო კრების დადგენილების თანახმად, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ბათომის განყოფილებას 300 მანეთი გადასცა ომისაგან დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანთა დასახმარებლად.

საჩივარი. პირველ და მეორე საპოლიციო ნაწილის ზოგიერთა მცხოვრებლებმა საჩივარი შეიტანეს ქალაქის გამგეობაში, რომ მეფურნეები და მეთორნეები კარგად არ აცხობენ პურს და ყურადღება მიაქციეთო. ამის გამო 20 ივლისს ქალაქის გამგეობის მიერ დანიშნულმა საგანგებო კომისიამ რევიზია მოახდინა ფურნეებსა და თორნეებში. აღმოჩნდა, რომ პური ყველგან რიგიანად ცხვება, მაგრამ რამდენიმე მეპურე მესამე ხარისხის პურს არ აცხობს. ასეთ მეპურეებს ოქმი შეუდგინეს.

სეტყვა. როგორც გვატყობინებენ, თიანეთის მაზრის რამდენიმე სოფელში ძლიერი სეტყვა მოსულა, რომელსაც შესამჩნევად დაუზიანებია ყანები და ბალახი.

ხოლერა. 20 ივლისს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს 7 ხოლერიანი, 1 ქალი. ქალაქის თავშესაფარში გუშინ სულ 14 ხოლერიანი იყო.

გადამდებ სენთა გამო. რადგან თბილისში მრავალი გადამდები სენი გაჩნდა და მათ შორის ხოლერაც, თბილისის საექიმო საზოგადოების 15 წევრს დასაბუთებული განცხადება შეაქვს ამავე საზოგადოების გამგეობაში იმის შესახებ, რომ შუამდგომლობა აღიძრას, რათა ყურძნის ღვინო და აგრეთვე კონიაკი დაუბრკოლებლივ იყიდებოდეს დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

დაჯარიმება. თბილისის გუბერნატორის დადგენილებით დაჯარიმებულ არიან ნებადაურთველად მაგარი სასმელების გაყიდვისათვის: ანტონ პიჩინსკი და არტემ ბეჟანოვი თითო 500 მანეთით, არტემ ბეგლიაროვი 300 მან., ზაქარია მურალიანცი, იოსებ დანდუროვი და ანტონ ბოდოგლიანცი თითო 200 მან. ანუ 2 თვის ციხით, ხოლო ვართან ტაშჩიანცი 3 თვის ციხით.

გაქცეულთა დაბრუნება. როგორც ბათომიდან გვატყობინებენ, აჭარიდან გადახვეწილთაგან ბევრი უკანვე ბრუნდება. ათი დღის წინად რამდენიმე ქალი, ბავშვი და მამაკაცი უკვე დაბრუნებულან ბათომში. დაბრუნებულები, როგორც მოსალოდნელი იყო, ყოველმხრივ დიდ სისაწყლეს განიცდიან. ისინი თავისს მფარველობის ქვეშ მიუღია ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილებას: პირველად აბანოში გაუგზავნია, ბინა მიუჩენია, საცვლები და სასმელ-საჭმელი მიუცია. თან და თან კიდევ ბევრი გაქცეული დაბრუნდება უკან. ამათ შესახებ დიდ ზრუნვაშია როგორც ბათუმის განყოფილება საზოგადოებისა, აგრედვე თვით მთავარი გამგეობა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებისა. უპირველეს ყოვლისა დაბრუნებულებისათვის საჭიროა, გარდა აბანოსა და საკვებისა, საცვლები და ფეხთსაცმელები. ამიტომ საკმაო საცვლები ეხლავე უნდა დამზადდეს, რაზედაც უთუოდ იზრუნებს საქველმოქმედო საზოგადოება.

ნავთის გაძვირება. თბილისის მენავთეებმა თავიანთი ნებით ორი შაური მოუმატეს ნავთის ფასს, ასე რომ 1—70 კაპ. ნაცვლად ფუთს 1—80 კაპ. ჰყიდიან.

ქალაქის წყლის გამოკვლევა. ბ-ნმა მუხარინსკიმ ბაქტეოროლოგიურად გამოიკვლია ზემო და ქვემო ავჭალისა და მთაწმინდის აუზების წყალი, რომელშიაც ვიბრიონები აღმოჩნდა. მაგრამ ამ უკანასკნელთა გამოკვლევისაგან არა სჩანს, ეს ხოლერის ვიბრიონებისა თუ არა.

ახალი წიგნი. რედაქციამ მიიღო თ-დ გ. თუმანოვის მიერ შედგენილი და თბილისის საქალაქო თვითმართველობის მიერ მეორედ გამოცემული „Итоги земскихъ совѣщаніи на Кавказѣ“. წიგნი წარმოადგენს კრებულს 1909 წ. კავკასიაში მომხდარ საერობო თათბირთა დადგენილებისას და ნაშრომისას. იგი შეიცავს 130 გვერდს, დაბეჭდილია მშვენიერ ქაღალდზე და ღირს 1 მანეთი.

რედაქციამ მიიღო. ბ-ნ დ. ს. პავლიაშვილის მიერ შედგენილი და გამოცემული წიგნაკი „იღუმენია ნინო“. შემდეგის შინაარსით: ქართველი ქალი დეკ. ნ. თალაკვაძესი იღუმენია ნინო (ნეკროლოგი) 25 წლის იუბილე—ივერიის: 1890 წლის 3 ოქტომბრის ნომრიდან ამოღებული სიტყვა ეპ. ლეონიდისა, ნ. ი. მესხიშვილისა, თ-დდ. ლ. ამილახვრისა, გორის მარშლისა, თ-დ. ლ. მუხრან ბატონისა, მარიამ მახარაძისა. მილოცვა—ეპისკოპ. ალექსანდრე, (ლექსად) გლეხ ზ. გარსევანიშვილისა, სიტყვა—მ. ნ-ძისა, სამადლობელი იღუმენია ნინოსი, დეპეშა—მთავარ-მართებლისა; პასუხი—იღუმენია ნინოსი. წიგნაკი კოხტად და ძვირფასად არის გამოცემული და ღირ ათი შაური.

რედაქციამ მიიღო მღვდელ ეგნატე მენთეშაშვილისაგან ქვემო მაჩხაანში გამართულ აკაკის საღამოს შემოსავალიდან 17 მანეთ. 70 კაპ. საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოების გადასაცემად. ფული დანიშნულებისამებრ გადაეცა.

რედაქციამ მიიღო ანჩინის წიგნაკი „ერი და ჩვენ“. წიგნაკი საინტერესოდ არის შედგენილი და სუფთად გამოცემული ღირს 30 კაპეიკი.

რედაქციამ მიიღო ალ. გარსევანიშვილის „გმირი ქალი, მათე ყაჩაღად წოდებული“. ღირს ერთი შაური.

სურსათი. 20 ივლისს თბილისში იყო მოტანილი: ფქვილი 13 ვაგონი, სიმინდი 2 ვაგ., შაქარი 1 ვაგ., მარილი 5 ვაგ., ბადრიჯანი 1 ვაგ., ხეხილი 1 ვაგ., ქერი 4 ვაგ., ნავთი 2 ვაგ., მადნეული წყალი 3 ვაგ., კომბოსტო 354 ფუთი, ყველი 131 ფუთი, ახალი თევზი 253 ფუთი, რკინეულობა 713 ფუთი და ტყავეულობა 460 ფუთი.

შუამდგომლობა. თბილისის რამდენიმე ფარმაცევტს შუამდგომლობა აღუძრავს გუბერნატორის წინაშე, ურთიერთ შორის დამხმარე საზოგადოების დაარსების ნება მოგვეცითო.

გადამდები სენი. 20 ივლისს ქალაქის თავშესაფარში იწვნენ: ქუნთრუშიანი 23, ხუნაგიანი 11, ყვავილიანი 3, საოფლიანი 5 და მუცელაიანი 3 კაცი.

ერთდროული დახმარება. მიწადმფლობელობისა და მიწადმოქმედების რწმუნებულმა მიწადმოქმედების დეპარტამენტის მიერ გადადებულ თანხიდან 300 მ. მისცა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას. ამ ფულით საზოგადოებამ უნდა შეჰკრიბოს და დაბეჭდოს ცნობები მემამულეობის შესახებ კავკასიაში.

ეროდება!

26—27 ივლისს, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თაოსნობით გაიმართება აჭარელთა დღე. საქმის წესიერად მოწყობისთვის საჭირონი არიან ახალგაზდა ძალები. ჩვენი პირდაპირი მოვალეობა არის მივიღოთ მხურვალე მონაწილეობა, და მით დაუმტკიცოთ ჩვენს დაშროებულ ძმებს—აჭარლებს, ღრმა სიყვარული და თანაგრძნობა. მათ დღეს ეჭირვებათ ძმური სიტყვა, აწიოკებულ გულთა დასაამებლად, დღეს ეჭირვებათ ძმური ნუგეში, შეშინებულ სულთა განსამტკიცებლად, დღეს აუცილებელია ძმური დახმარება უმწეოდ დარჩენილ მშიერ მოძმეთა დასაპურებლად. საჭიროა ცოცხალი კავშირი, რომ ჰგრძნობდნენ შემატკივარ გულთა სიახლოვეს. ამიტომ ჩვენ, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებასთან არსებული ქართველ სტუდენტთა კომისია, მოვუწოდებთ მთელ ქართველ ახალგაზრდობას განურჩევლად, შემოკრბნენ ამ კომისიის გარშემო, რომ შეერთებული ძალით შევსძლოთ საქმის სასურველად დაგვირგვინება. მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონენ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების კანტორაში სტუდ. კ. კასრაძესთან, და „ძმურ ნუგეშში“ მორიგ წევრთან.

ქართველ სტუდენთა კომისია.

აჭარა

გაზ. „საქართველოს“ მე-33 ნომერში იყო მოთავსებული ცნობა ზედა აჭარის შესახებ.

იქ ვკითხულობთ: ზედა აჭარაში ზოგიერთმა მოწინავე პირმა განიზრახა საღამოს კურსების დაარსება წირა-კითხვის სასწავლებლადო. ამ კეთილი საქმის გამზრახველმა შესაფერი ნებართვაც აიღო, მაგრამ საუბედუროთ ეს მარტოკა სიტყვით გაკეთდა, ხოლო მისი განხორციელება ჯერაც არ დაწყებულა. მიზეზად ითვლება სახელმძღვანელოების უქონლობა, რომელიც ამისათვის საჭიროა. ამის შესახებ კიდეც ამცნეს ქ. შ. წ. გ. ს.-ას, მაგრამ დღემდის არაფერი მოგვდის იქიდგან. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ისინი დიდის თანაგრძნობით შეხვდებოდნენ ამ ფრიად სიმპატიურ საქმეს და საჭირო დახმარებასაც გაუწევდნენ, მაგრამ დღემდის მარტო ლაპარაკისა და ამ ამბის გაზეთის ფურცლებზედ წერის მეტს ყურადღებას არავინ აქცევს. მარტო ლაპარაკი საკმარისი არ არის. საჭიროა რაც შეიძლება მეტი საჭირო სასწავლო ნივთი გამოგვიგზავნონ ჩქარა.

მეორე საყურადღებო ცნობაა ამავე ნომერში მოთავსებული: სიმინდის განაწილება აჭარაში. სიმინდის განაწილება აჭარაში თვითონ ხალხმა იკისრა. არჩეულია ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც წარმოადგენს ცენტრს. ამ კომისიასთან მჭიდრო დამოკიდებულება აქვს თითო სოფლიდან არჩეულ ორ-ორ კაცს, რომლებმაც თავიანთი მეზობლების მდგომარეობა უნდა შეატყობინონ კომისიას. მართლაც იყო 5 კაციდან ამორჩეული კომისია, რომელსაც უნდა ეზრუნა სიმინდის განაწილებაზედ. მაგრამ ეს ასე არ ხდება საუბედუროდ. ამ უკანასკნელ დროს ზემო აჭარაში დასარიგებლად ბათუმიდან მივიღეთ 500 ფუთი სიმინდი. ამ სიმინდის დარიგებაში უნდა ეშრომათ ყველა კომისიის წევრებს. მაგრამ არ გასწიეს არამც თუ რამე შრომა ამ საქმეში, არამედ თვალით დასანახავადაც გაძვირდნენ და მთელი ამოდენი შრომა დაატყდა ერთ კაცს, აქაურ სკოლის ზედამხედველს, რომელსაც ერთ და იმავე დროს სიმინდის ამოსატანი ფული ბათუმიდან ფუთზედ ორი აბაზი უნდა ეძლია. ამ ფულს მცხოვრებლები იხდიან (რაც ძალიან უხერხულია, ვეუბნებით საჩუქარიაო და ამავე ღროს ამოსატანს 40 კ. ვახდევინებთ ფუთზედ), და თან სიმინდის არწყვა ვისაც რამდენი ეკუთვნის. ასეთ შრომას ეწევა ერთი კაცი. მგონი საკმარისია, რომ წარმოიდგინოს კაცმა, რამდენი შრომა არის საჭირო ყველა ამისათვის. ნუთუ საკმარისია რამე საქმეში ამორჩევა და სახელის ტარება, როგორც ხშირად ხდება ჩვენს ცხოვრებაში? ამავე დროს ის ორ-ორი პირი, რომელიც არის არჩეული თითო სოფლიდან, ხშირად შემცდარ ცნობებს იძლევა გაჭირვებულთა მდგომარეობაზედ! მაგრამ ამას ჩვენ თვითონ ვაქცევთ ყურადღებას და აქვე ვასწორებთ ასეთს შეცდომებს.

რაც შეეხება ისეთ ცნობებს, თითქოს აქ ყველაფერი ისე იყოს, როგორც გაზეთში არის აღნიშნული, ეს სიმართლეს მოკლებულია. ასეთ ცნობას შეუძლიან შეცდომაში შეიყვანოს ისინი, ვისთვისაც ეს საჭიროა. მე საჭიროდ ვსცანი ამის აღნიშვნა, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი ცნობები იბეჭდება არა იმიტომ, რომ გაზეთის ფურცლები შეავსონ, არამედ მიაწოდონ და გააგებინონ საზოგადოებას ყველაფერი, რაც ხდება და სინამდვილეს შეესაბამება.

გ. კაჭახიძე.

ტრაღიკული დღეები

III

ივლისის პირველი ორი კვირის განმავლობაში მე და ჩემი კოლეგები უნიადაგო გულმშვიდობას არ მივსცემივართ. ვენის კაბინეტის მაცდურმა ხმაგაკმენდილობამ გულში მწარე მოუსვენრობა და ყრუ მწუხარება დაგვისადგურა, მაგრამ ის მაინც ვერ წარმოგვადგენინა, რომ ხვალ თუ არა, ზეგ მაინც დიპლომატიური მორევი რომ ჩაგვითრევდა და ერთი კვირის შემდეგ უღონო და მუნჯი მოწმე რომ გავხდებოდით მშვიდობიანობის დამხობისა და მასთან ერთად ჩვენი ზენაართ იმედების განადგურებისა. ბერლინის პრესამ მხოლოდ მეორე დღეს დილით გაგვიმხილა ის ულტიმატუმი, რომელიც ბარონმა გისლიმ, ნოტას სახით, სერბიის კაბინეტს წარუდგინა 23 ივლისს.

ციდან ჩამოვარდნილი მეხივით თავს დაგვატყდა ეს ამბავი. დავთარი აებნა ზოგ გერმანულგ აზეთსაც ტ ვენის კაბინეტის ბრალდება გადაჭარბებულად ჩასთვალა. „ავსტრია-უნგრეთიო,—ამბობდა Pozettede Voss“-ი, როგორც კი გამოქვეყნდება სარაევოს მკვლელობის შესახებ სამოსამართლო გამოძიების შედეგი, იძულებული იქნება პასუხი აგოს წამოყენებულ ბრალდებისათვისო. შეუძლებლად მიმაჩნდა, რომ ასეთი სახიფათო ნაბიჯი და ისიც ბალკანეთში, გადაედგა ავსტრიის კაბინეტს, ისე რომ წინასწარად არ შეჰკითხებოდა ბერლინის კაბინეტს და დასტური თვით იმპერატორ ვილჰელმისაგან არ მიეღო. თითქმის ყველა ჩემი კოლეგა ამ გვარივე შეხედულების იყო ვენის კაბინეტის საქციელზე. თუ სახეში მივიღებთ იმ ზიზღსა და აღშფოთებას, რომელიც ვილჰელმის გულში აღიძრებოდა ტახტის მემკვიდრის მკვლელებისადმი, ამასთან თუ წარმოვიდგენთ იმ დინასტიურ თანაძმობასაც, რომელიც ვილჰელმსა და ფრანსუა ფერდინანდ შორის არსებობდა. ადვილი გასაგები შეიქნება, რომ, ვილჰელმს მოქმედების სრული თავისუფლება მიეინიჭებინა თავის მოკავშირისთვის, მიუხედავათ იმისა რომ შეიძლებოდა ამ თავისუფლებას ევროპის კონფლიქტიც მოყოლოდა. ვენის კაბინეტი სწორედ ასეთ რამეს მოითხოვდა. რუსეთს უნდა ხელი აეღო სერბიის ბედის შესახებ ზრუნვაზე და მოეთმინა თუ გნებავთ ერთგვარი შელახვა ამ ბალკანეთის სახელმწიფოს სუვერენებისა. პეტროგრადის კაბინეტს უნდა უარ-ეყო პრინციპი: ბალკანეთი ბალკანელებს! რომელიც ორი თვის წინად ბ-ნმა საზონოვმა სახელმწიფო სათათბიროში დიდის ზეიმით საჯაროდ გამოაცხადა. დაბოლოს რუსის ხალხს უნდა გაეწყვიტა ნათესაური კავშირი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მას აერთებდა ბალკანეთის ხალხებთან, ყველა ეს ჩემის წარმოდგენით შეუძლებელი რამ იყო. პესიმისტური შთაბეჭდილება უფრო გაიზარდა მეორე დღეს, 25 ივლისს, როდესაც ვილჰელმ შტრასეზე გარეშე საქმეთა სამინისტროში, დიპლომატთა კრებულმა მოისმინა ბერლინის კაბინეტის აზრი. ბბ. იაგოვმა და ციმერმანმა განაცხადეს რომ მათთვის არ უცნობებიათ ავსტრია-უნგრეთის ნოტის შინაარსი. ეს იყო სიტყვების თამაში და სხვა არაფერი. დავიჯერებ რომ ნოტა მათ სიტყვა-სიტყვით არ ეცოდინებოდათ, მაგრამ არა მწამს, რომ საერთო შინაარსი და წარდგენილ მოთხოვნათა ხასიათი მათთვის უცნობი ყოფილიყო. ისიც დაუმატეს თან, რომ საიმპერიო მთავრობამ მოიწონა თავის მოკავშირის საქციელი და არც ნოტის ტონი იყო ძალიან მძაფრი. თავის მხრივ, ბერლინის პრესა, სოციალისტურ ორგანოთა გარდა, გამოერკვა წინა-დღის გაოცებისაგან; ბანი მისცა ვენისა და ბუდაპეშტის გაზეთებს, საიდანაც მოყავდა დიდძალი ამონაწერი; თანაც ცივად, დამშვიდებით ლაპარაკობდა, შეიძლება ომიც გაჩაღდესო, მაგრამ იმედს არ კარგავდა

რომ... რომ.,. ომის ფარგლები ვიწროდ შემოიხაზებოდა, ავსტრია-სერბიის ფარგალს არ გასცილდებოდა.

[illegible]

რამდენათ მკრთალი მოსჩანდა, ღმერთო ჩემო, საკითხის მშვიდობიანის გზით გადაჭრის ნიშნები, როდესაც ამ ნიშნებს შეუწონავდით მთავრობის საქციელსა, გაზეთების კილოსა და სიტყვებს. ეს ნიშნები მოჰქონდა მხოლოდ იმ შთაბეჭდილებას, რომლებიც გერმანიის გარედ წარმოიშობოდა და რომელსაც უცხოეთის დეპეშა გვაწვდიდა. ევროპის საზოგადო აზრს ვერ გაეგო ამგვარ საშვალებით მოპირდაპირის დაშინების აუცილებლობა დამაკმაყოფილებელ პასუხის მისაღებად, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ურთიერთობის გამორკვევა უთუოდ დიპლომატიის ღონისძიებას უნდა დამორჩილებოდა. მე შეუძლებლად მიმაჩნია, რომ გრაფ ბერტჰოლდს ანგარიში არ გაეწია იმ დაწუნების და დატუქსვის გრძნობისთვის, რომელმაც, ბერლინს გარდა, ყოველგან ბუნებრივად იფეთქა მისი ულტიმატუმის წინააღმდეგ. ყველა მართებულად მიიჩნევნდა უფრო ზომიერ მოთხოვნას ვენის კაბინეტის მხრივ, ხოლო ის, რაც სერბიისთვის წარედგინა შეუწყნარებლად ჩასთვალა ყველამ.

რაც უფრო ვუფიქრდებოდი გერმანიის და უსტრია-უნგრეთის დიპლომატიის საქციელს, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ შექმნილი მდგომარეობის გასაღები ბერლინში იყო, როგორც ეს ცოტა ხნის შემდეგ განაცხადა საზანოვმაც, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ ბერლინში შეიძლებოდა, და არა სხვაგან. და სწორედ ამიტომ მშვიდობიანათ საქმის დაბოლოვების იმედი არ უნდა გვქონოდა, რადგან არჩევანი ომსა და მშვიდობიანობის შორის ბერლინში უნდა მომხდარიყო ვილჰელმის გულისთქმის თანახმად, რადგანაც მეორე მხრივ ცნობილი იყო ვილჰელმის გავლენა, რომელსაც სიტყის შეუბრუნებლივ ემორჩილებოდა ვენის კაბინეტი და რადგანაც ცნობილი იყო აგრეთვე ვილჰელმის პირადი სულიერი განწყობილება და მისი მთავარი შტაბის გულის ზრახვა, სწორედ ამიტომ ევროპის მშვიდობიან საქმე მე დაღუპულად მივიჩნიე. ამავე დღეს, საღამო ჟამს ვინახულე საფრანგეთის ელჩი ბ-ნი კამბონი, რომ მისთვის გამეზიარებინა ჩემი უიმედობა და უნუგეშო რწმენა. ბ-ნი კამბონიც სწორედ ამგვარივე შეხედულობისა იყო. იმავე საღამოს ჩემს მთავრობას მივსწერე საქმის ვითარება, ვაცნობე ჩემი შიში მშვიდობიანობის დარღვევისა და ვურჩიე შინ საჭირო ზომები მიეღო. ეს რაპორტი 26 ივლისის თარიღით, სიფრთხილის გულისათვის მივანდე ერთ-ერთ ჩემ მდივანს, რომელიც იმ წამსვე ბრიუსელში გავისტუმრე. მეორე დღეს დილა ადრიან ჩემი დეპეშა გარეშე საქმეთა მინისტრის ხელში იყო.

„სერბიისადმი ულტიმატუმი—ვწერდი იქ—ხაფანგია ვენასა და ბერლინში დამზადებული, ან უკეთ, მოფიქრებული აქა, ხოლო აღსრულებული ვენაში. ტახტის მემკვიდრის მკვლელობის ზღვევინება სერბიისთვის და პანსერბიული პროპაგანდის ხელზე დახვევა, ორივე—უბრალო საბაბია და სხვა არაფერი. სერბიის აღგვისა და საბრალო სლავიანთა სულთა-სწრაფვის ალაგმის გარდა, მიზნად დასახულია აგრეთვე სასიკვდილო დაჭრა რუსეთისა და საფრანგეთისა იმ იმედით, რომ ინგლისი ბრძოლიდან განზე გადგება. ჩემი მოსაზრების გასამართლებლად უნდა მოგახსენო ის აზრი, რომელიც გაბატონებულია გერმანიის მთავარშტაბში, სახელდობრ, რომ რუსეთ-საფრანგეთთან ომი აუცილებელია და მოახლოვებული. ეს აზრი, როგორც იქნა ბოლოს და ბოლოს თვით იმპერატორ ვილჰელმს გააზიარებინეს. დღევანდელი ომი, რომელსაც ასე ეტრფის პანგერმანისტული და მილიტარისტული პარტია, დღეს ისეთ ხელსაყრელ პირობებში გაჩაღდება გერმანიისათვის, რომლის მსგავსი მას მოკლე ხანში არც კი დაუდგება“.

შექმნილი სიტუაციის აღწერისა და იმ საკითხების განხილვის შემდეგ, რასაც ეს სიტუაცია ბადებდა, ჩემი რაპორტი ასე დავსკვენი.

„ჩვენც უნდა დავაყენოთ ეს მწვავე და ამაშფოთარი საფთხეები და მზად ვიყვეთ უარესზედ უარესი შემთხვევისათვის, რადგანაც კარზეა მომდგარი და სინამდვილის ხორცი შეისხა კიდეც იმ ევროპის კონფლიკტმა, რომლის შესახებაც ასე ბევრს ლაპარაკობდენ და ირწმუნებოდენ „არაოდეს არ მოხდებაო“.

უარესზედ უარეს შემთხვევად მე მიმაჩნდა ჩემი სამშობლოს ტერიტორიის ერთი ნაწილის გადალახვა რომელიმე

შეომარ სახელმწიფოს მიერ და მოვალეობა ჩვენი ჯარისა არამც და არამც არ შეეწყნარებია ეს გადალახვაო. განა შეიძლებოდა იმის იმედი რომ ბელგიას არ შეპრალავდა გერმანიის ჯარი და რომ გერმანია არ დაეწაფებოდა ხელთ ჩაეგდო ერთ-ერთი სტრატეგიული გზა, რათა სწრაფად და საკეთილოდ წაეყვანა თავისი შეტევის და თავდასხმის საქმე? განა შეიძლებოდა ბელგიას უბედურება რამ თავს არ დასტეხოდა, ჩემთვის როდესაც ცხადი იყო უზარმაზარი ფარგლები საფრანგეთ-გერმანიის ჯარის შეტაკებისა. ჩემი გონება ამას ვერ წარმოიდგენდა. მაგრამ აქედან, ჩემი ქვეყნის ერთიან შემოსევამდე, რომელსაც დიდხნით ადრე, სამხედრო ოპერაციების დაწყებამდე მოფიქრებული და გადაწყვეტილიც ყოფილა, გაუვალი უფსკრულია, და გონება მეურჩებოდა წარმომედგინა, რომ გერმანიის მთავრობა დიდის ხალისით გადმოლახავდა მას, თუნდა იმ ურთიერთობის გართულების გამო, რომელსაც ევროპაში უთუოდ გამოიწვევდა დადებული ხელშეკრულობის ასეთი უგუნური შებღალვა.

(შემდეგი იქნება)

ს. ი—ა.

ბრძანება კავკასიის ჯარებისადმი

ჩვენს გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებულია ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესი ბრძანება. ამის შესახებ კავკასიის ჯარებს გენერალ ლეიტენანტი მიჰმართავს შემდეგი სიტყვით: „ვუცხადებ რა ჩემდამი რწმუნებულ ოლქს ყველასგან საყვარელ **მაღალ მთავარსარდლის** ბრძანებას, ღრმადა მრწამს, რომ ყველა ჯარები, დაწესებულებანი და ოლქის სამმართველონი, სათადარიგო ჯარიდან მოყოლებული უმაღლეს მბრძანებელამდე, გულთან ახლოს ყოველ სიტყვას და ამ მეორე სამამულიშვილო ომში ყოველ ძალღონეს მოიკრებენ, რათა უფრო თამამად შეასრულონ თავთავიანთი მოვალეობა და მით ხელი შეუწყონ ერთურთს საბოლოო და სასურველ თავხედ მტრის დამარცხებამდე, რაზეც ოცნებობს, ჰფიქრობს და ჰსასოებს დიდი სამშობლოს თვითეული ერთგული შვილი.

ეს ბრძანება წაიკითხოს ყოველს დაწესებულებაში და სამმართველოში“.

ხელს აწერს კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი გენერალ-ლეიშენანტი **ვოლსკი.**

დეპეშები

სტოკჰოლმი, 19 ივლისი. როტერდამიდან „ტაგე-ნიეტჩერს“ ატყობინებენ, რომ სანოვაგის სიძვირის გამო ბელგიაში არეულობა მოხდა. ბრბომ დაამტვრია და გაანადგურა მაღაზიები. სხვა და სხვა ადგილებში გერმანელ ჯარისკაცებმა სროლა აუტეხეს ხალხს. ბევრია დაჭრილი და დახოცილი. ქვანახშირის მაღაროებში მომუშავე გაფიცული მუშები თავს დაესხნენ გერმანელ პატრულს. შეტაკების დროს მოკლულია 2 ჯარისკაცი და 9 მუშა. ამავე დღეს მონსში ჩამოვიდა 4 ბატალიონი გერმანელთა ლანშტურმი. ორი ბატალიონი შარლერუაში გაგზავნეს. საერთოდ მთელ ბელგიაში მღელვარებაა.

ნიესის ადგილობრივ კავშირის სხდომაზე თავისუფალ მოაზროვნეთა რიცხვი უდრიდა 1500 კაცს. ყოფილ მინისტრთა პრეზიდენტმა თავის პოლიტიკურ სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ ომის დაბოლოების წინასწარმეტყველება ყოვლად შეუძლებელია და რომ ამ ომმა ერთი სასარგებლო გაკვეთილი მოგვცა, სახელდობრ წყალქვეშა ნავების მნიშვნელობა ჯავშნოსანთა წინააღმდეგ. შემდეგ გრაფი შეეხო შვეიცის აქტიურ გამოსასვლელ აგიტაციის საკითხს და ის აზრი გაატარა, რომ მზგავსი აგიტაცია ძლიერ მავნებელია შვეიციისთვისაო.

ბუქარესტი, 19 ივლ. მოწვეულნი არიან სამხედრო ბეგარისთვის გაწვეულნი ჯარისკაცნი 1897—1907 წ.

ჯარში გასაწვევთა საყურადღებოდ

გამოქვეყნებულია უმაღლესი ბრძანება. ჯარში გასაწვევ ახალგაზდებისა, რომელნიც 1896 წელს დაბადებულან. გამოცხადების დღე დანიშნულია 7 აგვისტო.

ბრძანების თანახმად არავის არავითარი შაღავათი არ ეძლევა ოჯახური მდგომარეობის მიხედვით.

ახალგაზდები, რომელნიც უმაღლეს სასწავლებლებში ანუ რკინის გზის სკოლებში იმყოფებიან, თუ კი სამხედრო სასწავლებელში შესვლას მოისურვებენ, მიეცემათ დრო ხუთ აგვისტომდე, ხოლო თუ ამ დრომდე ვერ მოასწრებენ სამხედრო სასწავლებელში შესვლას, 1 სექტემბერში უნდა გამოცხადდენ ჯარში წასასვლელად.

საზოგადოების საყურადღებოდ

საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ ქართველ მაჰმადიანთა სასარგებლოდ გამოცემული გაზეთის ფურცელი „ძმური სიტყვა“ გაიყიდება როგორც თბილისში, აგრედვე სხვა ადგილებში **26—27 ივლისს (კვირას და ორშაბათს),** და არა 25 და 26 ივლისს, როგორც შეცდომით იყო გამოცხადებული ზოგიერთ გაზეთში. თბილისში გაზეთის გაყიდვის საქმეს მეთაურობს ქალთა განსაკუთრებული კომიტეტი ნინო ნაკაშიძის, დ. ერისთავ-განდეგილის, ოლ. აღლაძის, ან. ამირაჯიბის და სხ. ხელმძღვანელობით. კისაც სურს გაზეთის გავრცელებაში მონაწილეობა მიიღოს, ვთხოვთ წინდაწინვე ჩაეწეროს შემდეგ ადგილებში: 1) „ნაკადულის“ რედაქცია დავიდოვის ქ., № 1. 2) საჩაე „ძმური ნუგეში“. 3) ქ. შ. წერა-კითხვის გამავრელებელი საზოგადოება.

ქართველ საქველმოქმედო საზოგადოება.

„მეურნის“ საზოგადოებაში

17 ივლისს მომხმარებელ საზოგადოება „მეურნის“ ახალ გამგეობას კრება ჰქონდა, რომელსაც დაესწრნენ გამგეობის წევრთა კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრნი მათი კანდიდატები და რამდენიმე გარეშე პირი. კრება გახსნა გამგეობის წევრმა გიორგი კანდელაკმა. უპირველესად არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი გამგეობისა: თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს თავ. მ. დ. ჭავჭავაძე, თავმჯომარის ამხანაგად—კ. ხახანაშვილი, ხოლო მდივნად და მოლარედ—გ. კენდელაკი. არჩევნების შემდეგ თავმჯდომარის ადგილი დაიკავა ახლად არჩეულმა თავ. მ. ჭავჭავაძემ, რომლის წინადადებით მსჯელობა დაიწყო იმაზედ, თუ როდის და რა პირობებში დაიწყოს საზოგადოებამ მოქმედება და საზოგადოდ რა საშუალებით დააყენონ საზოგადოება მკვიდრ და შეურყეველ ნიადაგზე, ზოგმა ის აზრი გამოსთქვა, რომ საკმარისია შეგროვდეს სამი ათასი მანეთი, რომ საზოგადოებამ მოქმედება დაიწყოსო. ამ აზრის მომხრენი იმით ასაბუთებდნენ თავიათ წინადადებას, რომ საქმისათვის, მართალია, ფულსაც აქვს მნიშვნელობა, მაგრამ საქმის წინამძღოლთა პატიოსნებას და უნარს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვსო. ზოგნი კიდევ უფრო შორს წავიდნენ და ამტკიცებდნენ, რომ მოქმედების დასაწყებად სამას თუმანზე ნაკლებიც საკმარისია, რადგან ჩვენი საზოგადოება კოოპერატივია, რომელიც არსებითად განსხვავდება კომერციულ დაწესებულებისაგან, საცა უმთავრეს ყურადღებას მოგებას აქცევენ, ერთმანეთს ეცილებიან ვაჭრობაში; ხოლო აქ კი იდეიური საქმე, ყველაფერი წევრთა თანაგრძნობაზეა დამყარებული და ამიტომ კონკურენციის შიში არ არის. დანარჩენები კი იმ აზრისა იყვნენ, რომ მოქმედების დასაწყებად საჭიროა მოზდილი თანხა, თორემ ისე არ შეიძლება ვაჭრობის გამართვა, რადგან მყიდველთა მოთხოვნილებას ვერ დავაკმაყოფილებთ, კერძო ვაჭრებს ცილობას ვერ გავუწევთ და ეს საზოგადოებაც ისე დაიღუპება, როგორც წინად სხვა მრავალი.

აღძრულ საკითხის შესახებ კრებამ საჭიროდ არა სცნო ეხლავე რომელიმე წინადადება მიეღო და დაადგინა ჯერჯერობით შეუდგნენ წევრების შეძენას და ფულის შეგროვებას; ფულების შესაგროვებლად საკვიტანციო წიგნები დაურიგდება საზოგადოების ყველა თანამდებობის კაცს და სანდოთ ცნობილ კერძო წევრებსაც. თიეთვულ წიგნაკით მოგროვილი ფულის ანგარიში ყოველ კვირაში უნდა ჩაიბაროს გამგეობამ და შეიტანოს ბანკში. გამგეობის წევრები კვირაში ერთხელ უნდა შეიკრიბნენ სათათბიროდ. ახალმა გამგეობამ ერთი კვირის განმავლობაში უნდა ჩამოართვას ყოფილ დროებით გამგეობას შეკრებილი ფულის ანგარიში და ყველა წიგნები და როცა ცოტაოდნად მოზდილი თანხა შეგროვდება, გამგეობამ უნდა მოიწვიოს საგანგებო კრება.

არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ამ დაწესებულებას ბრწყინვალე მომავალი ექნება, რადგან საზოგადოება საერთოდ დიდის თანაგრძნობით ეგებება მას, მხოლოდ მეთაურების მხრივ საჭიროა დიდი ენერგია და წინდახედულობა.

წერილი გაღდადიდან

დიდი ხანი არ არის რაც ამ მხარეს ვესტუმრე. მართლაც რომ ყოველივე მხრივ მდიდარი და შემკული კუთხეა. აქ ბუნების სიმდიდრესთან ერთად მეურნეობის კულტურის ერთ დარგსაც უჩენია თავი: მთელი დაბლა ფერდობები და ნახევარი ნაწილი ჭალებისა მოფენილია რიგზე დარგულ და სარზე გაკრულ ვაზებით. მეურნეობის ამ დარგს—მევენახეობას, ეტყობა პირველი ადგილი დაუჭერია აქ.

მსხვილი მემამულენი აქ არ არიან, გარდა მემამულე ძმ. ა. მ. ანანოვებისა, რომელთა ვენახებს თვით ბაღდადშივე საუკეთესო ადგილი უჭირავს, ზომით რამოდენიმე ათეული დესეტინა, შამპანიურ ღვინის საუკეთესო მარნებით. დანარჩენთა მამულები მხოლოდ თითო-ოროლა ქცევაა მოშენებული ვენახით. სჩანს, მემამულეთა მთელი ყურადღება მიქცეულია ამ მეურნეობის დარგის აყვავება-გაფართოებისაკენ, რაიცა ხალხის სწორს აღღოს ამტკიცებს, რადგან ყველაზე მეტი შემოსავლის მიცემა ამ ადგილებში შეუძლიან ვენახს. მას მიწაც შეეფერება და ჰავაც. აქაური მცხოვრების მთელი ოჯახის ხარჯთ-აღრიცხვა გაყიდულ ღვინის თანხაზე ტრიალებს; ამ თანხით იგი ყიდულობს მჭადს და აკმაყოფილებს ოჯახის მოთხოვნილებას. ეჭვი არ არის, რომ ეხლა გაორკეცებულის ენერგიით შეუდგებიან მეურნეობის ამ დარგის აყვავება-გაფართოებას, ვინაიდან ღვინის ფასი თანდათან მატულობს.

წარსულ მოუსავლიან ორი-სამი წლის განმავლობაში ბაღდადელებმა დიდი გაჭირვება გამოიარეს. მოუსავლობის მიზეზი გვალვაა. თქვენ აქაური ჩამორჩენილობა ბრძანეთ, თორემ იმ ფულით, რაც გვალვის დროს ეხარჯებათ, კარგად შეეძლოთ მდ. ხანიდან არხების გაყვანა და სარგებლობა. დიდი ხანია, რაც ამ საჭირბოროტო კითხვას ადგილობრივი შეგნებული პირები ჩაუკვირდენ და სცდილობენ საერთო ძალით მოაწყონ სარწყავი არხები. მათ ასეთ აზრს ერთი მხრივ ხელი შეუწყო მემამულე ანანოვმა, რომელმაც საკუთარი არხის გამოყვანა შესძლო მდინარე ხანიდან სოფელ დიმის ადგილებზე. ეს რომ დიმელებმა დაინახეს, საკუთარი ძალით მოისურვეს საქმის დაწყება. 1912 წ. მათ შესაფერი თხოვნით მიჰმართეს კავკასიის საწყლო მმართველობას, ასეთივე თხოვნით მიმართეს 1913 წ. სოფელ როკითლებმა და დიდველებმა მდ. მ. ჩიკვინაძის და სხვა შეგნებული პირების მეთაურობით. თხოვნა შეწყნარებულ იქმნა და წელს საწყლო მართველობამ გამოგზავნა თავის მოხელე სპეციალსტები; მათ დაათვალიერეს მდ. ხანი, სარწყავი ადგილები და შესაძლოდ სცნეს სამივე სოფლების თხოვნის დაკმაყოფილება. ამ მიზნით საწყლო ინსპექციამ გადასდო საჭირო თანხა, გამოგზავნა თავისი მოხელეები, სარწყავი მიწების და საჭირო არხების პლანების ასაღებათ და მასთანვე იკისრა მთელი პროექტის შედგენა თავის ხარჯით. ამ ჟამად უკვე ადგილობრივ შეუდგნენ მუშაობას. ასეთი საქმის დაწყება დიდი გასახარელი შეიქნა მცხოვრებლებისთვის.

ეს ხუთი-ექვსი წელიწადია, რაც ზედა მემამულე ანანოვმა ამოიყვანა მდ. ყვირილიდან სარწყავი არხი სოფელ სვირის გასწვრივ. ამ არხით ირწყვება რვა ვერსის გავლის შემდეგ რამოდენიმე ათასი დესეტინა. ამ სარწყავი არხების გაკეთება დაუჯდა დაახლოებით ასი ათასი მანეთი. საყურადღებოა ის, რომ ამ ხნის განმავლობაში ეს დახარჯული თანხა კიდევაც აინაზღაურა იმ ზედმეტი ღალის ფასით, რომელსაც გლეხები იხდიან მორწყვის შემდეგ (ადრე, მორწყვამდი ქცევაზე აძლევდენ ექვს მანეთს, მორწყვის შემდეგ კი 12—15 მანეთამდე იხდიან); ამავე არხზე აქვს მას მოწყობილი საუკეთესო წისქვილები და ელექტრონის სადგური.

მეორე, ქვედა მემამულე, აბგარ ანანოსაც აქვს გაყვანილი მდ. ხანის წყლიდან ორი არხი მარჯვნივ და მარცხნივ. მდინარის მარცხენა ნაპირზე ამოყვანილი არხი 1912 წ. გაკეთა. ამ არხის სათავე რამოდენიმე ვერსით სოფელ დიდველების მამულზე მიდის, მისი ვარციხის საყანვარების მოსარწყავად; იმის მაგიერ, რომ გლეხები ზედმეტი წყლით ასარგებლოს და ყანები მოარწყვევინოს, იგი ბოროტად ირჯება, დაუყენებია არხის მცველი და არც ერთ შინაურ საქონელს დაუჭერელს არ უშვებს, რომელიც არხს მიუახლოვდება და ბალახის ძოვას დიაპირებს; დაჭერილ საქონელს უსასყიდლოდ არ უშვებს. ასეთია ამ მემამულის „მოღვაწეობა“ და ისედაც გაჭირვებულ ხალხს ყოველგვარ შელავათს უსპობს.

შაქრო ხიდისკარელი.

ჩვენი ცხოვრება

დ. სურამი. ახლო-მახლო სოფლებში ყანები კარგახანია გაიჭრა. მოსავალი კარგია. სიმინდსაც კარგი პირი უჩანს. მუშა ხელი ნაკლებია.

——

ხაშური. კვირას 12 ივლისს დაიხურა სახალხო მასწავლებელთათვის გახსნილი დროებითი კურსები. კურსებზედ ასწავლიდნენ კალათების დაწვნას და ლერწმისაგან ავეჯეულების გაკეთებას. სამი კვირის შრომამ უნაყოფოდ არ ჩაიარა: მსმენელებს დაუკეთებიათ მრავალი სუფთად დამუშავებული ნივთები. სამწუხაროა, მხოლოდ, რომ კურსებზედ მარტო 9 კაცი მუშაობდა.

——

სოფ. გვერდისუბანი. (გორის მაზრა). ორშაბათს, ივლისის 13-ს ერთი ალიაქოთი და კეტების ტრიალი მოხდა სოფელში. მიზეზი ამ არეულობისა ბავშები ყოფილიყვნენ, რომელნიც ასულიყვნენ სახლიკაცის ბაღში ვაშლებზედ. ვაშლების დაკრეფას მოჰყვა ბაღის პატრონთა ყვირილი. აქედან გამოცვინდნენ ბავშვების მოსარჩლენი და ცოტა ხნის ყვირილ-ლანძღვის შემდეგ ისეთი კეტებისა და სამთითების ტრიალი გაჩაღდა, რომ ძაღლი პატრონს ვეღარ იცნობდა. ეგება ერთმანეთი ამოეწყვიტათ კიდეც, რომ იქვე შემთხვევით არ შესწრებოდა პოდპორუჩიკი №, რომელმაც იარაღით ძლივს შესძლო აღელვებულ ბრბოს გაფანტვა. ამ ჩხუბში დაიჭრა ტ დასახიჩრდა რვა კაცი მძიმედ დაჭრილია ორთითით სახეში ერთი ქალი. ყველა დასახიჩრებულთაგანი ღონღაძეები არიან გვარად.

ლარმანი.

დაბა ჩოხატაური. ახალი არა არის რა გარდა ერთი [illegible] უბედურებისა. წყალდიდობამ [illegible] გააოხრა. ხალხი დაიმშა. ფუთი სიმინდი შვიდ აბაზად ფასობს, ისიც მეტად უვარგისია. მთავრობისაგან დახმარებას მოელიან, მაგრამ როდის? სამი დღის წინად გენერალ-გუბერნატორი გვეწვია და ხალხს შეეკითხა, რა ეჭირვებოდა. გაეცნო საზოგადო მდგომარეობას და აღუთქვა დახმარება. ვნახოთ, როდის რა იქნება.

მეგრელიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

გერმანიაში დატყვევებულთა ნათესავების საყურადღებოდ

ვისაც სურს გერმანიაში მყოფ ტყვეებს გაუგზავნოს ფული ან კიდევ რაიმე ამანათი, იმან უნდა იხელმძღვანელოს შემდეგის კანონით:

ამანათის წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას (5 კილოგრამს). ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული სწორი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. საჭიროა აგრედვე ამანათს ზედ ეკრას პატარა ქაღალდი შემდეგის წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.

Liebesgaben für die
russischen Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჭკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით, ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** ჰგზავნის. ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

ან Suise, Bern, Ensingenstasse, 48 A. A. Бахерахтъ

ან კიდევ: Bangue Papulaire Suisse, Foids Russe pour les prisonniers de guerre.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან	8 ს.	13 წ.	დილ.
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	8 „	40 „	„
ნავთლუღ-კახეთ.	8 „	58 „	„
ვაზიანიდან	10 „	06 „	„
ივრიდან	21 „	15 „	„
საგარეჯოდან	11 „	58 „	„
ბადიაურიდან	12 „	56 „	„
ელაანიდან	2 ს.	16 წ.	საღ.
გურჯაანიდან	3 „	37 „	„
კარდენახიდან	4 „	12 „	„
წნორის-წყალზე	4 „	44 „	„

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

გურჯაანიდან	3 ს.	42 წ.	საღ.
ვაჩნაძიანიდან	4 „	33 „	„
თელავში	5 „	27 „	„

თბილისისკენ მოდის:

წნორის-წყლიდან	8 ს.	58 წ.	დილ.
კარდანახიდან	9 „	41 „	„
გურჯაანიდან	10 „	24 „	„
მელაანიდან	11 „	39 „	„
ბადიაურიდან	12 „	59 „	დღ.
საგარეჯოდან	2 „	80 „	„
ივრიდან	2 „	50 „	„
ვაზიანიდან	3 „	55 „	„
ნავთლუღ-კახეთ.	4 „	58 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	5 „	13 „	„
თბილისში,	5 „	28 „	„

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

თელავიდან	8 ს.	54 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან	2 „	58 „	„
გურჯაანში	10 „	07 „	„

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან	12 ს.	54 წ.	დღ.
№ 4 ბათომიდან	5 ს.	55 წ.	საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი)	7 ს.	41 წ.	საღ.
№ 10 ბათომიდან	9 ს.	51 წ.	დილ.
ჯულფიდან	6 ს.	53 წ.	დილ.
ბორჯომიდან	7 ს.	25 წ.	დილ
„ საგარ.	10 ს.	28 წ.	საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ	1 ს.	45 წ.	დღ.
№ 4 ბაქოსკენ	7 ს.	3 წ.	საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს.	8 წ.	დღ.
№ 9 ბათომისკენ	8 ს.	53 წ.	საღ.
ჯულფისკენ	10 ს.	23 წ.	საღ.
ბორჯომისკენ	3 ს.	29 წ.	დღ.
„ საგარ.	8 ს.	28 წ.	დილ.

თევზის მრეწველნი
ძმ. ალეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.
ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილთ“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხა, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ფსწრაფ-ბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოლაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.